შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

FR

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2024 წლის კონკურსი

შინაარსი



www.rustaveli.org.ge

- კონკურსის მიზნები
- კონკურსში მონაწილე სუბიექტები
- ფინანსური მოთხოვნები
- ბიუჯეტი და ფინანსური პირობები
- საკონკურსო დოკუმენტაცია
- მნიშვნელოვანი სიახლეები
- შეფასების პროცედურა
- რეგისტრაციის პროცედურა
- კონკურსის ადმინისტრირება
- ტექნიკური ხარვეზები
- მნიშვნელოვანი თარიღები

მუხლი 1 - კონკურსის მიზნები

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს:

- ახალი ცოდნის შექმნას;
- ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზს;
- კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას;
- გამორჩეული ხარისხის ინოვაციური კვლევების განვითარებას;
- კვლევების მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაციას;
- კვლევის პროცესის ინტეგრაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში;
- ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას მათი ჩართვით კვლევაში.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სამეცნიერო მიმართულებები

სამეცნიერო კლასიფიკატორი

(ევროპული კვლევების საბჭოს სამეცნიერო კლასიფიკატორის მიხედვით)

1. ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
3. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
4. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 2 - კონკურსში მონაწილე სუბიექტები (1/2)

გრანტის მიმღები სუბიექტები

- ❑ წამყვანი ორგანიზაცია *
- ❑ ძირითადი პერსონალი *
- ▪ პროექტის ხელმძღვანელი *
- ▪ კოორდინატორი *
- ❑ თანამონაწილე ორგანიზაცია

პროექტში შესაძლებელია მონაწილეობდეს

- ❑ ახალგაზრდა მეცნიერი
- ❑ დამხმარე პერსონალი
- ❑ უცხოელი კონსულტანტი
- ❑ თანადამფინანსებელი
- ❑ სხვა მატერიალური-ტექნიკური ბაზა
- ❑ უცხოური პარტნიორი ორგანიზაცია

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 2 - კონკურსში მონაწილე სუბიექტები (2/2)

პირს შეუძლია ჩართული იყოს

- ❑ პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით - მხოლოდ ერთ პროექტში
- ❑ ძირითადი პერსონალის სტატუსით - მხოლოდ ორ პროექტში
  - ფუნდამენტური კვლევების (FR)
  - გამოყენებითი კვლევების (AR)
  - უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების (DI)

პროექტი ითვლება მიმდინარედ თუ

პროექტზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი, დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და არ არის დახურული 2024 წლის 12 აპრილის მდგომარეობით

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 3 - ძირითადი ფინანსური მოთხოვნები (1/2)

პროექტის ბიუჯეტი

საანგარიშო პერიოდი - 12 თვე

სამეცნიერო მიმართულება	მაქსიმალური წლიური ბიუჯეტი	დაფინანსების მაქსიმუმი პროექტის ხანგრძლივობის მიხედვით	
		2 წელი	3 წელი
ა) ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია; ბ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები.	80 000 ლარი	160 000 ლარი	240 000 ლარი
გ) სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; დ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.	60 000 ლარი	120 000 ლარი	180 000 ლარი

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 3 - ძირითადი ფინანსური მოთხოვნები (2/2)

ბიუჯეტის კატეგორიები

- **ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;**
  - ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს წელიწადში, თუ პროექტის ძირითად პერსონალში არ არის ჩართული ახალგაზრდა მეცნიერი;
  - პროექტში ერთი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 45000 ლარს, ხოლო ორი ან მეტი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში - 50000 ლარს;
  - პროექტში ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის ჩართვის შემთხვევაში, პროექტის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის საგრანტო დაფინანსებას თითოეულ საანგარიშო პერიოდში და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 9000 ლარს წელიწადში თითოეული ახალგაზრდა მეცნიერისათვის.
- **დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;**
  - ჯამში 5 000 ლარი წელიწადში
- **მივლინება;**
- **საქონელი და მომსახურება;**
- **არაფინანსური აქტივები;**
- **ზედნადები ხარჯები** - ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%.

გრანტის სახსრებით დაუშვებელია
უძრავი ქონების შეძენა/იჯარა; შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია/კაპიტალური რემონტი; ავტომანქანის, პლანშეტური კომპიუტერის და მობილური ტელეფონის შეძენა.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 4 - საკონკურსო დოკუმენტაცია (1/2)

- **კრებსითი ინფორმაცია** * ივსება GMUS-ში
- **აბსტრაქტი*** ივსება GMUS-ში
- **საპროექტო წინადადება** * იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით (დანართი 3)
- **პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები** (CV) * - იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით (დანართი 4)
- **უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფია** (CV)* - იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით
- **უცხოელი კონსულტანტის თანხმობის წერილი*** - იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით (დანართი 5)

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 4 - საკონკურსო დოკუმენტაცია (2/2)

- **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** *
- **პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** *

ივსება GMUS-ში

- **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** * იურიდიული ან ფიზიკური პირისგან - იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით (დანართი 8)

- **სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილი** * იურიდიული ან ფიზიკური პირისგან - იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით (დანართი 9)

- **პარტნიორობის დამადასტურებელი დოკუმენტი** * პარტნიორი ორგანიზაციისგან, მემორანდუმი, ხელშეკრულება და სხვა - იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მნიშვნელოვანი სიახლეები (1/3)

კრებსითი

- ინფორმაცია ფონდის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ
- ინფორმაცია ძირითადი პერსონალის გენდერის შესახებ

CV

პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურ ენოვან CV-ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითებით.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მნიშვნელოვანი სიახლეები (2/3)

პატიოსანი კვლევების პრინციპები

- დამოუკიდებელ ექსპერტთა/ექსპერტთა ჯგუფების მიერ შინაარსობრივი მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში დადგინდება კონკურსის მონაწილის მიერ სამართლებრივი ან/და ეთიკის ნორმების დარღვევა. კონკურსიდან მოიხსნება ყველა ასეთი პროექტი
- პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი
- ფინანსურ და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების მიზნობრივად გაწევაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები (წამყვან ორგანიზაცია, თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის ძირითადი პერსონალი).

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მნიშვნელოვანი სიახლეები (3/3)

პატიოსანი კვლევების პრინციპები (2)

გრანტის მიმღები ვალდებულია

- პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე შეაფასოს პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიგნებების პატენტუნარიანობა და ასეთის გამოვლენის შემთხვევაში წარადგინოს საპატენტო განაცხადი (საქართველოს ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციაში)
- პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.
- დამფინანსებლის აღიარება (ბეჭდური და ვიზუალური მასალა, პატენტი, პუბლიკაცია)

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შეფასების პროცედურა

შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა

1. შეფასების ფორმა და მიდგომა
2. პირველადი შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტები
3. გრანტის მაძიებლის შეპასუხება (ე.წ. rebuttal step)
4. საბოლოო შეფასება - პანელის კონსენსუსი
5. მეტი ინფორმირებულობა და გამჭირვალეობა
6. გამარჯვებულთა გამოვლენისა და დაფინანსების წესი (გამოქვეყნდება შეფასების ეტაპის დაწყებამდე)

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საერთაშორისო ექსპერტების უკუკავშირი

- გაუმჯობესებულია პროექტების ხარისხი, მეტი პროექტი აკადემიური ინგლისურით
- გაიზარდა შესაბამისად მომზადებული შეპასუხებების რაოდენობა

გასაუმჯობესებელია

1. პროექტის გრძელი სათაური vs მოკლე და ინფორმატიული
2. საპროექტო წინადადების გვერდების რაოდენობის გადაჭარბება vs ლიმიტების გათვალისწინება
3. კვლევის ეთიკის, მიუკერძოებლობის, სანდოობის ნაკლებობა vs გამართული კველევის დიზაინი და მეთოდოლოგია
4. ინტელექტულური საკუთრების, ცოდნის ტრანფერის და დისემინაციის ცნებების აღრევა vs სამეცნიერო ეფექტიანობის ყველა კომპონენტისათვის მკაფიო ინფრომაცია
5. გუნდის წევრების ჩართულობაზე არაადექვატური ინფორმაცია vs კონკურეტული სამუშაო პაკეტები, პასუხისმგებლობების განაწილება, ამოცანების პერიოდების მითითებით
6. შეუსაბამო შეპასუხება (ქულაზე ორიენტირებული, შეურაცხმყოფელი) vs **დამაზუსტებელი/განმარტებითი ინფრომაცია, რომელიც გასათვალისწინებელია**

* შეპასუხება არ არის ვალდებულება

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ფუნდამენტური კვლევების შეფასების კრიტერიუმები

50

სამეცნიერო კვლევა

40%
20 ქ

1.1. კვლევის სიახლე, აქტუალურობა და ინტერდისციპლინურობა

1.2. კვლევის მეთოდოლოგია და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან

1.3. კვლევის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან

1.4 . პროექტის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა ან/და ინსტიტუციური კოლაბორაცია

სამეცნიერო ეფექტიანობა

30 %
15 ქ.

2.1. პროექტის ფარგლებში მკვლევართა გუნდის კარიერული განვითარების პერსპექტივა, ინტელექტუალური საკუთრების შექმნა და ცოდნის ტრანსფერი

2.2. კვლევის შედეგების გავრცელება (დისემინაცია, კომუნიკაცია), ინტერდისციპლინური განვითარება

2.3. პროექტის ეფექტურობა გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესისათვის

მკვლევართა გუნდი

20 %
10 ქ.

3.1. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ძირითადი პერსონალის კვლევითი გამოცდილება და პროდუქტიულობა

3.2. პროექტით დასახული მიზნების განხორციელებისათვის პასუხისმგებლობების განაწილება ძირითადი პერსონალის კომპეტენციების გათვალისწინებით

განხორციელების გეგმა

10 %
5 ქ.

4.1პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკისა და პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტით დასახული მიზნების განხორციელებისათვის

პროექტების შეფასება (2/6)

შეფასების კრიტერიუმები - დანართი 2.

კრიტერიუმები და განმარტებები						
1.სამეცნიერო კვლევა	1	2	3	4	5	მინ 1 -მაქს 5 ქულა
1.1. კვლევის სიახლე, აქტუალურობა და ინტერდისციპლინურობა						
1.2. კვლევის მეთოდოლოგია და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან						
1.3. კვლევის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან						
1.4. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა ან/და ინსტიტუციური კოლაბორაცია						

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

პროექტების შეფასება (3/6)

შეფასების კრიტერიუმები - დანართი 2.

კრიტერიუმები და განმარტებები						
2. სამეცნიერო ეფექტიანობა	1	2	3	4	5	მინ 1 -მაქს 5 ქულა
2.1. პროექტის ფარგლებში მკვლევართა გუნდის კარიერული განვითარების პერსპექტივა, ინტელექტუალური საკუთრების შექმნა და ცოდნის ტრანსფერი 2.2. კვლევის შედეგების გავრცელება (დისემინაცია, კომუნიკაცია), ინტერდისციპლინური განვითარება 2.3. პროექტის ეფექტურობა გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესისათვის						

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

პროექტების შეფასება (4/6)

შეფასების კრიტერიუმები - დანართი 2.

კრიტერიუმები და განმარტებები						
3. მკვლევართა გუნდი	1	2	3	4	5	მინ 1 -მაქს 5 ქულა
3.1. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ძირითადი პერსონალის კვლევითი გამოცდილება და პროდუქტიულობა 3.2. პროექტით დასახული მიზნების განხორციელებისათვის პასუხისმგებლობების განაწილება ძირითადი პერსონალის კომპეტენციების გათვალისწინებით						
4. განხორციელების გეგმა	1	2	3	4	5	მინ 1 -მაქს 5 ქულა
პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკისა და პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტით დასახული მიზნების განხორციელებისათვის						

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

პროექტების შეფასება (5/6)

შეფასების კრიტერიუმები - დანართი 2.

შეფასება ქულით	შეფასება	განმარტება
1	სუსტი	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, გართულებულია შეფასება არასაკმარისი, ბუნდოვანი ან შეუსაბამო ინფორმაციის გამო.
2	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები.
3	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, მაგრამ აქვს გარკვეული ხარვეზები და საჭიროებს გაუმჯობესებას.
4	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს. გამოკვეთილია ორიგინალურობა და სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
5	საუკეთესო	პროექტი საუკეთესოდ პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, შეიძლება არსებობდეს უმნიშვნელო ერთეული შენიშვნები,

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

პროექტების შეფასება (6/6)

შეფასების კრიტერიუმები - დანართი 2.

ზღვრული ქულა

- **36 ქულა** - დაფინანსების მოპოვებისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში

უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს:

- მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად I, II, III, IV კრიტერიუმში,
- ჩართული ჰყავს ახალგაზრდა მეცნიერი,
- აქვს ნაკლები ბიუჯეტი.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაცია (1/2)

პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია

GMUS - გრანტების მართვის ერთიანი სისტემა

http://gmus.rustaveli.org.ge

❑ ორგანიზაციის პროფილი

* სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდება/დებულება
* ა(ა)იპ & უსდ - ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან

გაცემული 2024 წელს

Tuesday, Apr 2nd 2024

16:00 საათი

❑ მეცნიერის პროფილი

* საქართველოს მოქალაქე - ქართულ და ინგლისურ ენებზე
* უცხო ქვეყნის მოქალაქე - ინგლისურ ენაზე
* აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები

❑ პროექტის რეგისტრაცია

* კრებსითი ინფორმაციის შევსება
* საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენა

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაცია (2/2)

რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში

- **განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ**

  * დამოწმებული ძირითადი პერსონალის ხელმოწერებით
  * წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- **განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში** საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული.



Friday 12th Apr 2024

18:00 საათი

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მუხლი 6 - კონკურსის ადმინისტრირება

ტექნიკური ექსპერტიზა

- რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;

- ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

  - არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

  - კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ხშირად დაშვებული ტექნიკური ხარვეზები

- **ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: დიპლომი, ცნობა)** არასრულად არის წარმოდგენილი, ცნობები არის ძველი.
- **გეგმა-გრაფიკის** პროექტის შესრულების შედეგებში არ არის მითითებული მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო, იმპაქტ ფაქტორიან რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში
- **თანდართული ინგლისური დოკუმენტები** (მაგ. თანხმობის წერილი) არ არის თარგმნილი ქართულად და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ
- **თანადაფინანსების** მითითებული თანხა არ ემთხვევა ბიუჯეტში დაფიქსირებულ თანხა
- **კანცელარიაში წარმოდგენილი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ** არ არის დადასტურებული ხელმოწერებითა და ბეჭდით
- პროექტის ხელმძღვანელის/კოორდინატორის **ელ. ფოსტა** არასწორად არის მითითებული GMUS -ში და აპლიკანტი ვერ იღებს ხარვეზის შესახებ შეტყობინებას

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მნიშვნელოვანი თარიღები

- **2024 წლის 27 მარტი** – შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;
- **2024 წლის 1 მარტი - 2 აპრილი 16:00 სთ-მდე** – პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;
- **2024 წლის 12 აპრილის 18:00 სთ-მდე** – ფონდის კანცელარიაში განცხადების წარდგენა;
- **2024 წლის აპრილი - მაისი** – რეგისტრირებული პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა;
- **2024 წლის მაისი** – შუალედური შედეგების გამოქვეყნება;
- **2024 წლის ივნისი - დედკემბერი** – პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ;
- **2025 წლის თებერვალი - მარტი** – კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

გმადლობთ ყურადღებისთვის!

fr@rustaveli.org.ge

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©